Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#4, თებერვალი, 2018

რუსეთის რბილი ძალის გავლენა საქართველოსა და მოლდოვაში

კონსტანტინე კევლიშვილი, თათია ვახტანგაძე

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: konstantinekevlishvili@gmail.com

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში „ხისტ ძალასთან“ ერთად სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. „რბილი ძალის“ გამოყენებას. კონცეფცია, რომელიც გასული საუკუნის მიწურულს ჯოზეფ ნაიმ შეიმუშავა, დღესდღეობით ყველა გლობალური ძალის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

„რბილი ძალის“ პოლიტიკის გამოყენება უკანასკნელ წლებში აქტიურად დაიწყო რუსეთის ფედერაციამაც, რამაც საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახადა პოსტ-საბჭოთა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისთვის. რუსეთის „რბილი ძალის“ მნიშვნელოვანი გავლენები იგრძნობა სამხრეთ კავკასიაში, ცენტრალურ აზიაში, ბალტიისპირეთში, მოლდოვასა და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოშიც.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს რუსეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკური გავლენისა და ამ გავლენით გამოწვეული შედეგების გაზომვის მცდელობას ყოფილი საბჭოთა კავშირის, ამჟამად კი ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრ ორ სახელმწიფოში - საქართველოსა და მოლდოვაში. კვლევაში შესწავლილია „რბილი ძალის“ რამდენიმე ასპექტი და ის კონკრეტული მექანიზმები და ინსტიტუტები, რომლებსაც რუსეთი ძალის ამ ნაირსახეობის განსავითარებლად იყენებს.

კვლევის პროცესში დადგენილი თვალსაჩინო განსხვავებები საქართველოსა და მოლდოვაში რუსეთის „რბილი ძალის“ სპეციფიკასა და, შესაბამისად, ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ ვითარებებს შორის. ნაშრომის ბოლო ნაწილში იძლევა საკითხთან დაკავშირებით იძლევა რამდენიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას, თუმცა დარჩენილი კითხვის ნიშნები ხაზს უსვამს ამ მიმართულებით სამომავლო კვლევის გაგრძელებისა და რუსეთის „რბილი ძალის“ ყველა ასპექტის ჯეროვნად შესწავლის საჭიროებას.

საკვანძო სიტყვები: რბილი ძალა, რუსეთი, საქართველო, მოლდოვა

1. შესავალი

1.1. საკითხის აქტუალობა და კვლევის პრობლემა

საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფოთა სიძლიერე დიდწილად მათი „ხისტი ძალის“ - ტერიტორიული სიდიდის, მოსახლეობის რაოდენობისა თუ სამხედრო რესურსების - გათვალისწინებით განისაზღვრებოდა, თუმცა თანამედროვე ეპოქაში პოლიტიკურ მოვლენებზე საკმაოდ დიდი გავლენა აქვს ე.წ. „რბილ ძალასაც“, რომელიც შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც „მიზიდვისა და დარწმუნების ძალა“, „ძალის მეორე ნაირსახეობა“ ან სხვა აქტორთა პრეფერენციებზე არაპირდაპირი გზით ზეგავლენის მოხდენის საშუალებების ერთობლიობა (Nye, Soft Power - The Means To Success in World Politics, 2004, pp. 1-7).

დღესდღეობით „რბილი ძალა“ სახელმწიფოთა მიერ აქტიურად გამოიყენება ისეთი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, რომელთათვისაც „ხისტი ძალის“ მთავარი ბერკეტები უკვე გამოყენებული ან საზოგადოდ არარელევანტურია. 2013 წელს „რბილი ძალა“ ოფიციალურად იქნა მოხსენიებული რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში (Министерство иностранных дел Российской Федерации, 2013). 2014 წელს საქართველომ და მოლდოვამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს ევროპული ინტეგრაციის გზაზე - 27 ივნისს ორივე ქვეყანამ გააფორმა ასოცირების შეთანხმება ევროკავშირთან. სწორედ ამ პერიოდიდან (2013-2014 წლები) იწყება რუსეთის „რბილი ძალის“ გავლენის ზრდაც ამ სახელმწიფოებში, რამაც შემდგომში ხელი შეუწყო მოლდოვასა და საქართველოში მოქმედი პრორუსული პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოპულარიზაციას (დეტექტორ მედია, 2017, გვ. 14-15).

აქვე აღსანიშნავია, რომ „რბილ ძალას“ მოქმედების არაერთი განზომილება აქვს - კულტურული, რელიგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვ. - შესაბამისად, მისი

გავლენაც ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე ვრცელდება. წინამდებარე სტატიაში მიმოვიხილავთ ზემოხსენებულთაგან ზოგიერთ ასპექტს, თუმცა უმეტესწილად ვფოკუსირდებით „რბილი ძალის“ სოციალურ-პოლიტიკურ მიმართულებაზე, ხოლო მეთოდების თვალსაზრისით - პროპაგანდასა და ინფორმაციულ ომზე, რომლის გავლენაც პოლიტიკურ გარემოსა და საზოგადოებრივ აზრზე განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე (Lake, Gotoff, & Pultorak, 2015) (NDI, 2017).

1.2. კვლევის მიზნები და მეთოდოლოგია

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კვლევის ძირითადი მიზანია „რბილი ძალის“, როგორც რუსეთის საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტის ზეგავლენის შესწავლა უშუალოდ საქართველოსა და მოლდოვაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე. შესაბამისად, საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ფორმულირდება: **რა გავლენა მოახდინა საქართველოსა და მოლდოვაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობაზე რუსეთის მიერ „რბილი ძალის“, როგორც საგარეო პოლიტიკის წარმოების ინსტრუმენტის გამოყენებამ 2013 წლიდან დღემდე?**

კვლევის დამოუკიდებელი ცვლადია რუსეთის „რბილი ძალის“ მოქმედება დროის ამ მონაკვეთში, გამოხატული სხვადასხვა კერძო საშუალებით (დეზინფორმაცია, პროპაგანდა და ა.შ.), ხოლო დამოკიდებული ცვლადი - პოლიტიკური მდგომარეობა, რაშიც იგულისხმება როგორც ქვეყნების შიდა პოლიტიკური ვითარება, ასევე საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირია: **რუსეთის „რბილი ძალის“ ზრდის შედეგად საქართველოში გარკვეული ცვლილება განიცადა შიდაპოლიტიკურმა გარემომ, თუმცა ეს ყოველივე საფრთხეს ვერ უქმნის ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსს,**

განსხვავებით მოლდოვისგან, სადაც „რბილი ძალის“ გავლენით გამოწვეული ცვლილებები უფრო მასშტაბური და თვალსაჩინოა.

კვლევის უმთავრესი მიზნების მისაღწევად გამოყენებულია პირველადი, მეორეული და მესამეული წყაროების ანალიზი -განხილულია როგორც რუსეთის, საქართველოსა და მოლდოვის ხელისუფლებების მიერ შემუშავებული ოფიციალური პოლიტიკის დოკუმენტები, ასევე ავტორიტეტული ორგანიზაციებისა თუ გამოცემების ანალიტიკური სტატიები და ორივე ქვეყანაში (საქართველო, მოლდოვა) საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევები.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. თეორიული ჩარჩო

2.1.1. ჯოზეფ ნაის „რბილი ძალის კონცეფცია“

წინამდებარე ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს, უპირველეს ყოვლისა, შეადგენს ჯოზეფ ნაის „რბილი ძალის კონცეფცია“, რომელიც ამერიკელმა მეცნიერმა პირველად 1990 წელს, ცივი ომის დასასრულს ძალის მნიშვნელობის ტრანსფორმაციის კონტექსტში ახსენა (Nye, 1990), ხოლო უფრო საფუძვლიანად მოგვიანებით ჩამოაყალიბა (Nye, Soft Power - The Means To Success in World Politics, 2004). ნაის მიხედვით, თანამედროვე მსოფლიოში ძალის ცნებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და დღესდღეობით „რბილ“ და „ხისტ ძალებს“ შორის განსხვავება თვალსაჩინოა.

ამასთან, მჭიდრო კავშირის მიუხედავად, რბილი ძალა არ არის დამოკიდებული ხისტ ძალაზე - უზარმაზარი ეკონომიკური რესურსების ან სამხედრო შეიარაღების ფლობა თანამედროვე ეპოქაში სულაც ვერ უზრუნველყოფს „ძალის მეორე ნაირსახეობის“ დაუფლებას. „რბილი ძალის“ არსებობას უმეტესწილად კულტურა და ღირებულებები ან/და სახელმწიფო პოლიტიკა განაპირობებს: ღირებულებითი სიახლოვე ბუნებრივად

ახდენს გავლენას სახელმწიფოთა პოლიტიკურ ორიენტაციაზე (მაგ; აშშ-ის უნივერსალური კულტურისა და ცხოვრების სტილის მიმზიდველობა), ხოლო სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც არაპირდაპირი გზით (ეკონომიკური პოლიტიკა, დეზინფორმაცია და პროპაგანდა და ა.შ.) ისახავს მიზნად სხვა აქტორებზე ზეგავლენის მოხდენას, ასევე შეგვიძლია რბილი ძალის გამოვლინებად მივიჩნიოთ.

ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ ვერც „რბილი ძალა" ფუნქციონირებს ეფექტიანად „ხისტი ძალის" გარეშე. ძალის ამ ორი სახეობის კომბინაციით, ნაის აზრით, მიიღება ე.წ. „Smart Power", (გონივრული ძალა) რომლის გამოყენება წარმოადგენს კიდევაც ოპტიმალურ ვარიანტს ყოველი სახელმწიფოსთვის (Nye, 2009, pp. 160-163).

2.1.2. რუსეთის „რბილი ძალა" - ურთიერთსაწინააღმდეგო კონცეფციები

ჯოზეფ ნაი რუსეთის რბილი ძალის მოქმედებას დიდწილად წარუმატებლად აფასებს და ამ წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად პროცესში არასამთავრობო სექტორის არასაკმარისად დამოუკიდებელ მოქმედებას ასახელებს. (Nye, What China and Russia Don't Get About Soft Power, 2013) საინტერესოა, რომ რუსეთის რბილი ძალის წარუმატებლობის შესახებ ნაის მოსაზრებები გაზიარებულია თავად რუსი მკვლევრების აბსოლუტური უმრავლესობის მიერაც.

მიუხედავად ამისა, რუსი და დასავლელი სპეციალისტების შეფასებებში მაინც ვაწყდებით ძირეულ წინააღმდეგობებს - რუსი მკვლევრების აზრით, რუსეთის რბილი ძალის იმპერიალიზმად შერაცხვა და „დემონიზაცია" დასავლეთის მიერ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი გავლენის სფეროს გაფართოების პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს და ნაკლებად ისახავს მიზნად პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებისთვის რაიმე სარგებლის მოტანას, რუსეთმა კი, საპირისპიროდ, საკვანძო (და დადებითი) როლი ითამაშა 90-იანი წლების დასაწყისში ამავე სივრცის „ახალგაზრდა

სახელმწიფოებში“ წარმოქმნილი კონფლიქტების გადაჭრაში (Tsygankov, 2013a). ეს უკანასკნელი მოსაზრება, ცხადია, მკაცრად არის გაკრიტიკებული დასავლური სკოლების წარმომადგენლების მიერ - მათი მტკიცებით, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან აშკარად შეინიშნება ხისტი ძალის გამოყენების შემცირების ტენდენცია და ე.წ. Smart Power (გონივრული ძალა) მიდგომის დამკვიდრების მცდელობა, თუმცა სტრატეგიის ცვლილების პარალელურად, კრემლის მიზნები უცვლელი რჩება და ეწინააღმდეგება პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნების უდიდესი ნაწილის ეროვნულ ინტერესებს (Minzarari, 2012).

3. ინფორმაციის ანალიზი

3.1. რბილი ძალა როგორც რუსეთის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი მოლდოვასა და საქართველოში 2013-2014 წლებამდე

მოლდოვასა და საქართველოში რუსეთის რბილი ძალის კვლევის ათვლის წერტილად 2013-2014 წლებია მოცემული, თუმცა საერთო სურათზე უფრო რეალური წარმოდგენის შესაქმნელად აუცილებელია ამ ქვეყნებში რუსეთის რბილი ძალის ზემოქმედების მიმოხილვა უფრო ადრეულ პერიოდშიც, რაც საშუალებას გვაძლევს, გავეცნოთ იმ მექანიზმებისა და ინსტიტუტების წარმოშობის ისტორიას, რომლებიც დღესდღეობით აქტიურად გამოიყენება რუსეთის მიერ რბილი ძალის სტრატეგიის ფარგლებში.

რუსეთისთვის რბილი ძალის გამოყენება განსაკუთრებით აქტუალური 2000-იანი წლების დასაწყისში განვითარებული მოვლენების შედეგად გახდა: 2003-2005 წლებში „ფერადი რევოლუციების“ შედეგად პოსტ-საბჭოთა სივრცის რამდენიმე ქვეყნის მთავრობაში პროდასავლური ძალები მოვიდნენ, ხოლო 2004 წელს ევროკავშირის

მასშტაბურმა გაფართოებამ მოიცვა ყოფილი სოციალისტური ბანაკის წევრი არაერთი სახელმწიფო (Cwiek-Karpowicz, 2012, p. 6).

2007 წლის აპრილში დაარსდა არასამთავრობო ორგანიზაცია „რუსსკი მირ“ (რუსული სამყარო) რუსული ენისა და კულტურის მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაციის მიზნით. ეს ორგანიზაცია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების ერთობლივი პროექტია. (Russkiy Mir Foundation, n.d.). 2008 წელს წელს ასევე პრეზიდენტის განკარგულებით დაარსდა USAID-ის რუსული ანალოგი - სახელმწიფო სააგენტო სახელწოდებით „როსსოტრუდიჩესტვო“, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს ექვემდებარება და ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, მსოფლიოს 80 ქვეყანაშია წარმოდგენილი (Rossotrudichestvo, n.d.).

რუსეთის ფედერაცია რბილი ძალის პოლიტიკის ფარგლებში აქტიურად იყენებდა (და იყენებს) მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებსაც. 2005 წელს კრემლმა დააფუძნა საინფორმაციო სააგენტო Russia Today (2009 წლიდან - RT), რომელიც დღესდღეობით რამდენიმე ენაზეა ხელმისაწვდომი და 100-ზე მეტ ქვეყანაში მაუწყებლობს (ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი, 2016, გვ. 20).

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რბილმა ძალამ კრემლისთვის კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა - მეზობელ სახელმწიფოზე განხორციელებულმა აგრესიამ სერიოზულად დააზიანა რუსეთის საერთაშორისო იმიჯი. გარდა ამისა, აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შემდეგ რუსეთმა პრაქტიკულად დაკარგა საქართველოზე ხისტი ძალით ზემოქმედების მთავარი ბერკეტი, რამაც ასევე გაზარდა რბილი ძალის გამოყენების საჭიროება, თუმცა ომის შედეგად ანტირუსული განწყობები საქართველოში იმდენად გამძაფრდა, რომ რბილი ძალის ინსტიტუტებისა და მექანიზმების ქვეყანაში შემდგომი განვითარებაც საგრძნობლად გართულდა.

საქართველოსგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ვითარება იყო წლების განმავლობაში მოლდოვაში - 2001-2009 წლებში ქვეყანას კომუნისტური პარტია მართავდა, რომელიც მართალია გამოირჩეოდა ძლიერი პროევროპული რიტორიკით, თუმცა მთლიანობაში კომუნისტური მმართველობა ევროპული ინტეგრაციის ტემპებს მაინც აფერხებდა (Litra, 2011, p. 7). ამასთან, გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით, მოლდოვას მოსახლეობაში ანტირუსული განწყობები ისეთი ძლიერი ფაქტობრივად არასოდეს ყოფილა, როგორიც საქართველოში. 2009 წლიდან ქვეყნის სათავეში ლიბერალურ-დემოკრატიული კოალიცია მოექცა, თუმცა 2013-2014 წლებიდან მოლდოვას პოლიტიკური მდგომარეობა კვლავ ძირეულად შეიცვალა, რაც შეგვიძლია ისევ და ისევ რუსეთის რბილი ძალის პოლიტიკის „დამსახურებად“ მივიჩნიოთ (Devyatkov, 2014).

3.2 რუსეთის რბილი ძალის გამოვლინება მოლდოვასა და საქართველოში 2013 წლიდან დღემდე

3.2.1. პრორუსულად განწყობილი პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების საქმიანობა საქართველოში

<u>პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები</u>

საქართველოში პრორუსული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობა მნიშვნელოვნად შეფერხდა 2008 წლის ომის შემდეგ - საზოგადოებაში ანტირუსული განწყობების განუხრელი ზრდის გათვალისწინებით, დღესდღეობით ფაქტობრივად წარმოუდგენელია საქართველოში ღიად პრორუსული პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკოსის ხელისუფლების სათავეში მოქცევა. მიუხედავად ამისა, 2013-2014 წლებიდან შეინიშნება ცვლილებები ამ მიმართულებითაც.

დღესდღეობით ქართული პოლიტიკური სპექტრში არსებობენ როგორც ღიად ანტიდასავლური, ასევე პრორუსული და ე.წ. „ჰიბრიდული“ პოზიციების მქონე პარტიები. მათგან განსაკუთრებული რეზონანსით გამოირჩევა „პატრიოტთა ალიანსის“ განცხადებები - მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ეს პარტია მხარს უჭერს ქვეყნის ევროატლანტიკურ კურსს (Alliance of Patriots of Georgia, 2018), ანტიდასავლური პროპაგანდის 2016 წლის კვლევის მიხედვით, ანტიდასავლური გზავნილების რაოდენობით ეს გაერთიანება ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზეა (კინწურაშვილი, 2016), ხოლო 2017 წლის წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშის თანახმად, სწორედ „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლებმა გააკეთეს ყველაზე მეტი (54) ანტიდასავლური და დისკრიმინაციული ხასიათის განცხადება წინასაარჩევნო პერიოდში (კინწურაშვილი, გოგოლაძე, & რევიშვილი, 2017, გვ. 5). აქვე აღსანიშნავია, რომ ამ განცხადებების დიდი ნაწილი შეეხებოდა რუსეთთან მოლაპარაკების აუცილებლობას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის ნატო-საქართველო-რუსეთის ფორმატში განხილვას და სხვა (კინწურაშვილი, გოგოლაძე, & რევიშვილი, 2017, გვ. 6). ამასთან, „პატრიოტთა ალიანსმა“, სხვა ანტიდასავლურ ძალებთან შედარებით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩატარებულ არჩევნებში. [1]

კიდევ ერთი ღიად ანტიდასავლური/პრორუსული პოლიტიკური გაერთიანებაა „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“. 2016 წლის მონაცემებით, ყველაზე მეტი (96) ანტიდასავლური გზავნილი სწორედ ამ პარტიის წევრთა მხრიდან გაისმა (კინწურაშვილი, 2016, გვ. 27), ხოლო 2017 წლის წინასაარჩევნო პერიოდში „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერები აპელირებდნენ ისეთი თემებით, როგორებიცაა ჰომოსექსუალობის ლეგალიზება და იდენტობის დაკარგვა, ნატოსა და

[1] 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე „პატრიოტთა ალიანსმა“ ხმების 4.72% მიიღო, ხოლო პარტიის ლიდერმა და თბილისის მერობის კანდიდატმა, ირმა ინაშვილმა - 5.37% (ცესკო, 2014). 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პარტიამ მოსახლეობის 5.01%-ის მხარდაჭერა მოიპოვა (ცესკო, 2016). 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე პარტიამ ხმების 6.56% მიიღო, ხოლო მერობის კანდიდატმა ირმა ინაშვილმა - 3.02% (ცესკო, 2017).

ამერიკის სამხედრო სისუსტე და ბოროტება და ა.შ (კინწურაშვილი, გოგოლაძე, & რევიშვილი, 2017, გვ. 11). პარტიის პრორუსულ/ანტიდასავლურ ორიენტაციაზე ნათლად მეტყველებს მისი ლიდერების კონკრეტული განცხადებებიც: პარტიის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ანექსირებული ყირიმი რუსეთის ტერიტორიად მოიხსენია (ტაბულა, 2015); დიმიტრი ლორთქიფანიძემ არაერთხელ ახსენა ევროკავშირის მიერ საკუთარი წევრი სახელმწიფოებისთვის „დაძალებული ისლამიზაციის“ პროცესი (კინწურაშვილი, 2016, გვ. 12) და ა.შ. ბოლო წლებში „დემოკრატიული მოძრაობის“ პოპულარობა მცირდება, თუმცა ყოველ არჩევნებზე ეს პარტია გარკვეულ მხარდაჭერას მაინც იღებს[2] და აქტიურად განაგრძობს ანტიდასავლური და პრორუსული მესიჯების გავრცელებას საზოგადოებაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მცდელობა ჰქონდა ე.წ. „ცენტრისტულ მოძრაობასაც“, რომლის საარჩევნო გზავნილები („რუსული პასპორტები საქართველოს ყველა მოქალაქეს“, „რუსეთის სამხედრო ბაზები საქართველოში“ და სხვ.) უფრო მეტად ანტიქართულიც კი იყო, ვიდრე პრორუსული. საბოლოოდ, „პარტიამ“ საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირება ვერ მოახერხა (ტაბულა, 2016).

რაც შეეხება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა რუსული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათი ქართველი პარტნიორების საქმიანობის განხილვა. მაგ; „რუსსკი მირი“ მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მკვეთად პრორუსულ საზოგადოებრივ გაერთიანება „ერეკლე მეორის საზოგადოებასთან“. როგორც ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, ამ საზოგადოების მიზნებია „რუსეთის კულტურისა და ხელოვნების პროპაგანდა საქართველოში“ და „საქართველოს კულტურისა და

[2] 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე პარტიამ „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“ მიიღო ხმების 10.22%, ხოლო მერობის კანდიდატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ - 12.82%. (ცესკო, 2014). გარდა ამისა, 2013 წლის პრეზიდენტის არჩევნებში თავად ნინო ბურჯანაძემ მოსახლეობის 10.19%-ის მხარდაჭერა მოიპოვა (ცესკო, 2013)

ხელოვნების პროპაგანდა რუსეთში“, ხოლო ძირითადი ამოცანა - რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენა (ერეკლე მეორის საზოგადოება, 2013).

აქვე აღსანიშნავია, რომ „როსსოტრუდნიჩესტვო“ საქართველოში აქტიურად აფინანსებს „ანტიფაშისტური კოალიციის“ პროექტს, რომლის შექმნაც სწორედ 2014 წლის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის პერიოდს ემთხვევა; კვლევითი ორგანიზაციებიდან კი გამოსარჩევია ა/ო „ევრაზიის ინსტიტუტი“, რომელიც 2009 წელს დაფუძნდა, როგორც “think-tank” ტიპის ანალიტიკური ცენტრი (ევრაზიის ინსტიტუტი, 2014) და მას შემდეგ საქართველოში პრორუსული პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს საყრდენს წარმოადგენს (ძველიშვილი & კუპრეიშვილი, 2015).

მედია

2017 წლის ნოემბერში ანალიტიკურმა გამოცემა „ფაქტ-მეტრმა“ გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „მედია სააგენტოები რომლებიც შესაძლოა გატყუებდნენ“ (გურგენაშვილი, 2017). სტატიაში მოცემულია იმ ონლაინ და ბეჭდური გამოცემების სია, რომლებიც შემჩნეულნი არიან დეზინფორმაციასა და ე.წ. „ცრუ ახალი ამბების“ გავრცელებაში და განხილულია ამგვარი შემთხვევების რამდენიმე მაგალითიც. თვალსაჩინოა, რომ ამ სიაში მოხვედრილ მედიასაშუალებათა აბსოლუტური უმრავლესობა ანტიდასავლური ან/და პრორუსული იდეოლოგიის მხარდამჭერია.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მედიაკავშირ „ობიექტივის“ საქმიანობის განხილვა - იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 89% ინფორმაციის მიღების უმთავრეს წყაროდ ტელევიზიას ასახელებს, სატელევიზიო არხებზე გაუღერებული რიტორიკა განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს საზოგადოებრივი განწყობების ფორმირებაში. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ 8 ყველაზე მაღალშემოსავლიანი არხიდან „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის, ირმა

ინაშვილის მფლობელობაში მყოფი ტელევიზია „ობიექტივი“ ერთადერთია, რომელიც ღიად ანტიდასავლურ და პრორუსულ რიტორიკას გვიჩვენებს. ამაზე მეტყველებს როგორც ამ მაუწყებლის ეთერში გაჟღერებული ანტიდასავლური გზავნილების რაოდენობა (2016წ. - რედაქციის მხრიდან - 42, რესპოდენტთა მხრიდან - 135) (კინწურაშვილი, 2016, გვ. 22), ასევე ამ გზავნილების ფორმა (განსაკუთრებით ღამის ეთერში - გადაცემები „ღამის ეთერი“, „პოლიტიკური ღამე“ და სხვ.) - ამგვარი მესიჯები ძირითად ჰომოფობიური, ქსენოფობიური, თურქოფობიული და დისკრიმინაციული ხასიათისაა და მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, დასავლეთის დისკრედიტაციას, ხოლო მეორე მხრივ - რუსეთის, როგორც მტერი სახელმწიფოსგან „დატვირთვის“ გადატანას სხვა რომელიმე ქვეყანაზე, მათ შორის, ისტორიული ფაქტების მანიპულირებითაც (თურქეთის შემთხვევაში).

თავის მხრივ, რუსული პროპაგანდის არაერთი მაგალითი მოიპოვება ბეჭდურ მედიაშიც. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ და ონლაინ პლატფორმა Geworld.ge ანტიდასავლურ პროპაგანდის ყველაზე რადიკალური ფორმით გამავრცელებელ მედიასაშუალებათა რიცხვს მიეკუთვნება - ვებგვერდზე შეხვდებით სიახლეებს შემდეგი სახის სათაურებით: „ამერიკელი ჟურნალისტის სკანდალური ინტერვიუ ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებით“ (საქართველო და მსოფლიო, 2017ა), „12 მოციქული 30 ვერცხლის რიგში“ (ქართველი მღვდელმთავრების აშშ-ში ვიზიტთან დაკავშირებით) (საქართველო და მსოფლიო, 2017ბ) და სხვ. აქვე აღსანიშნავია, რომ ორივე გამოცემა დაფუძნებულია „ევრაზიის ინსტიტუტის“ პარტნიორი ორგანიზაციის ა(ა)იპ „ისტორიული მემკვიდრეობის“ მიერ (ძველიშვილი & კუპრეიშვილი, 2015, გვ. 2).

„საქინფორმი“ კიდევ ერთი ღიად კრემლისტური მედია ორგანიზაციაა, რომელიც პარტნიორობს როგორც „ევრაზიის ინსტიტუტთან“, ასევე ტელეკომპანია „ობიექტივთან“ და რომლის მესიჯბოქსი ფაქტობრივად „საქართველოსა და მსოფლიოს“ ანალოგიურია (ძველიშვილი & კუპრეიშვილი, 2015, გვ. 15-17). აქვე

აღსანიშნავია „პოლიტიკანო“ - კიდევ ერთი ღიად პრორუსული, ანტიდასავლური ონლაინ გამოცემის საქმიანობა, რომელიც ძირითადად „ცრუ ახალი ამბებისა“ და დეზინფორმაციის ხარჯზე ცდილობს, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის იმიჯის შელახვას (გურგენაშვილი, 2017).

გაზეთი „ასავალ-დასავალი“ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტაბლოიდია ქვეყნის მასშტაბით (რონდელი, 2014 , გვ. 11). მიუხედავად იმისა, რომ ეს ბეჭდური მედიასაშუალება უფრო მეტად ეთნონაციონალისტური ხასიათის პროპაგანდას ეწევა, ამგვარი რიტორიკაც რეალურად რუსულ წისქვილზე ასხამს წყალს (დეტექტორ მედია, 2017, გვ. 17). - „ასავალ-დასავალის“ მსგავსად, ონლაინ გამოცემა „ალტ ინფოც“ ანტიდასავლურ რიტორიკას ეყრდნობა და განსაკუთრებით პოპულარულია ქართული ულტრანაციონალისტური დაჯგუფებების წევრთა შორის.

გარდა ამისა „ფაქტმეტრის“ მიერ დასახელებული გამოცემებისა, აღსანიშნავია შემდეგი მედიასაშუალებების საქმიანობაც: ივერიონი - 2012 წელს დაარსებული საინფორმაციო სააგენტო, რომელიც არაერთხელ ხსენებული Geworld.ge-ის პარტნიორია და მსგავსივე რიტორიკით გამოირჩევა; პატრიოტი ტვ - „ერეკლე მეორის საზოგადოების“ მიერ 2015 წელს შექმნილი ტელევიზია (ფაქტობრივი ხელმძღვანელი - არჩილ ჭყოიძე); სპუტნიკი - რუსული პროპაგანდის გამავრცელებელი ერთ-ერთი უმთავრესი მედიასაშუალება, რომელიც 2014 წლის მიწურულს „რია ნოვოსტისა“ და „რუსეთის ხმის“ მიერ შეიქმნა. „სპუტნიკ საქართველო“ სხვა ზემოხსენებულ გამოცემებთან შედარებით ერთი შეხედვით ნეიტრალური მესიჯბოქსით გამოირჩევა, თუმცა მაინც აშკარად კრემლისტური ნარატივის გატარებას ისახავს მიზნად. ამას ცხადყოფს სპუტნიკის არსებობა აფხაზეთშიც, სადაც ეს მედიასაშუალება საქართველოში არსებულისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული რიტორიკით გამოირჩევა და ავრცელებს სიახლეებს ისეთ თემებზე, როგორებიცაა: გამოიწვია თუ არა ამერიკის საჰაერო ბაზამ სიმსივნური დაავადებების გავრცელება აზორის კუნძულებზე (Спутник Абхазия, 2018a); „ეპატაჟური

სუპერსილვიო დაბრუნდება და იტალიას ევროკავშირიდან გაიყვანს“ (Спутник Абхазия, 2018b) და სხვ.

3.2.2. პრორუსულად განწყობილი პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების საქმიანობა მოლდოვაში

<u>პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები</u>

როგორც უკვე აღინიშნა, ზოგადად, მოლდოვაში რუსული რბილი ძალის გავლენები საქართველოსთან შედარებით უფრო მეტად შეინიშნება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა პოლიტიკური პარტიების საქმიანობის მიმოხილვისას.

2014 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით მოლდოვის სოციალისტურმა პარტიამ ყველაზე მეტი, 25 ადგილი მოიპოვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში მაშინ, როდესაც მანამდე ამ გაერთიანებამ ერთხელაც ვერ მოახერხა 6%-იანი ზღვარის გადალახვა (Association for Participatory Democracy "ADEPT"). გარდა იმისა, რომ ამ პარტიის იდეოლოგია ღიად ევროსკეპტიკური და რუსოფილურია, არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე ვლადიმერ პუტინმა კრემლში პირადად უმასპინძლა მოლდოვის სოციალისტური პარტიის ლიდერებს, რითაც კიდევ ერთხელ გამოხატა ღია მხარდაჭერა გაერთიანებისადმი (Dempsey, 2014).

ცალკე აღსანიშნავია მოლდოვის კომუნისტური პარტიის საქმიანობა - 2009 წელს ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ მოლდოვის კომუნისტური პარტია პოლიტიკური ასპარეზიდან სულაც არ გამქრალა და სოციალისტების მსგავსად, 2014 წლის საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტებმაც საკმაოდ სოლიდური მხარდაჭერა და პარლამენტში 21 ადგილი მიიღეს (Association for Participatory Democracy "ADEPT").

ბოლოს, გამოსაყოფია პრორუსული პარტია „პატრიაც“, რომელსაც სხვადასხვა მონაცემით, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭერდა მხარს, თუმცა არჩევნებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო, სასამართლომ ეს პოლიტიკური გაერთიანება საარჩევნო პროცესიდან მოხსნა (სულაძე, 2015).

რაც შეეხება პრორუსული არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას, ამ მხრივ, რუსეთის სტრატეგია მოლდოვაშიც ანალოგიურია - საქართველოს მსგავსად, აქაც აქტიურად საქმიანობენ „რუსული სამყარო“, „რუსოტრუდნიჩესტვო“ და სხვ. ცალკე აღსანიშნავია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც ანტიდასავლური პროპაგანდით გამოირჩევიან („მოლდოვის რესპუბლიკის რუსი ახალგაზრდების ლიგა“, „ახალგაზრდა მოძრაობა“) (სულაძე, 2015).

საბოლოოდ, მიუხედავად ზემოხსენებულისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროევროპული ძალები მოლდოვაში მაინც საკმაოდ აქტიურად ებრძვიან პრორუსულ გავლენებს - უკანასკნელ თვეებში კი პრეზიდენტ დოდონსაც: გასული წლის ოქტომბერში მას, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დროებით მისი უფლებამოსილების განხორციელებაც კი შეუჩერეს, მას შემდეგ რაც დოდონმა ფაქტობრივად უარი განაცხადა მმართველ ლიბერალურ პარტიასთან თანამშრომლობასა და ახალი თავდაცვის მინისტრის დამტკიცებაზე (Popșoi, 2017). ამ ბრძოლის გააქტიურებაზე მეტყველებს ახლად შემოღებული „ანტიპროპაგანდისტული კანონი“, რომელსაც უფრო დაწვრილებით მედიის ნაწილში განვიხილავთ.

მედია

რუსული და პრორუსული მედია საკმაოდ აქტიური და პოპულარულია მოლდოვაშიც. 2015 წლისთვის მოლდოველი პოლიტიკოსი და ბიზნესმენი, წარსულში კომუნისტურ პარტიასთან ათვილირებული ვლადიმირ პლახოტნიუკი ქვეყნის აუდიოვიზუალური ბაზრის 70%-ს ფლობდა, ხოლო სოციალისტური პარტიის წევრთა მფლობელობაში 3 სატელევიზიო სადგური იყო. გარდა ამისა, 2015 წელს საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, მოლდოველთა 56% ნდობას გამოხატავდა რუსული მედიის მიმართ, ხოლო 61%-ის მიერ ყველაზე პოპულარულ უცხოელ პოლიტიკოსად ვლადიმერ პუტინი დასახელდა (Rosca, 2017).

იმის გათვალისწინებით, რომ მოლდოვის მოსახლეობის დაახლოებით 80%-ისთვის ტელევიზია ინფორმაციის მიღების მთავარ საშუალებად რჩება, ხოლო 85%-ს თავისუფლად ესმის რუსული ენა, რუსული ტელეარხების გავლენის შესაძლო მასშტაბები თვალსაჩინოა. დღესდღეობით მოლდოვაში განსაკუთრებით პოპულარულია Prime TV, რომელიც პრაქტიკულად რუსეთის „პირველი არხის“ რეტრანსლაციას ახდენს (სულაძე, 2015, გვ. 54).

გავლენების მიუხედავად, რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა შეინიშნება მედიასივრცეშიც - 2018 წლის იანვარში მოლდოვაში ამოქმედდა პროპაგანდის საწინააღმდეგო (ანტიპროპაგანდისტული კანონი), რომლითაც ქვეყნის სამაუწყებლო სივრცე რეგულირდება და დეზინფორმაციის გამავრცელებელი, „მანიპულატორი“ მედიასაშუალებების სოლიდური თანხებით დაჯარიმებასაც ითვალისწინებს (Moldpres, 2018). შესაბამისად, ეტაპობრივად ტელეეთერიდან უნდა გაქრეს „ახალი ამბების გამოშვებები, საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამები და ის გადაცემები, რომლებიც სამხედრო თემატიკას ეძღვნება და რუსულ ტელეარხებზე გადის“ (Jam-News , 2018). აქვე აღსანიშნავია, რომ ანალოგიური კანონის შემოღებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მსჯელობა საქართველოშიც, თუმცა ამ მსჯელობას არსებითი შედეგი ჯერჯერობით არ მოჰყოლია.

3.2.3. გავლენა საზოგადოებრივ აზრსა და საგარეო პოლიტიკურ კურსზე საქართველო

მიუხედავად რუსეთის მიერ ბოლო წლებში რბილი ძალის პოლიტიკის აქტიურად გატარებისა, საქართველოს მასშტაბით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ საზოგადოების პოლარიზაცია პრორუსული და პროდასავლური ორიენტაციის თვალსაზრისით იზრდება. ამას მოწმობს საქართველოს ნატოში გაწევრების მიმართ დადებითი განწყობის ზრდა 2012 წლიდან დღემდე - მხარდამჭერთა პროცენტული მაჩვენებელი 2012-2017 წლებში 61%-დან 66%-მდე გაიზარდა - და დროის დროის ამავე მონაკვეთში ამავე პერსპექტივის მოწინააღმდეგეთა რაოდენობის ზრდაც 10%-დან 23%-მდე. მნიშვნელოვანია 2015-2017 წლებში ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მომხრეთა რაოდენობის ცვლილებაც, რომელიც დროის ამ მონაკვეთში 29%-დან 23%-მდე შემცირდა (NDI, 2017), ხოლო 2015 წლიდან დღემდე მოსახლეობის დადებითი დამოკიდებულება საქართველოს ევროკავშირის წევრობის მიმართ გაიზარდა 60-დან 77%-მდე (ეს მაჩვენებელი გაზრდილია 2012 წლის მონაცემებთან შედარებითაც) (NDI, 2017).

მიუხედავად ზემოხსენებული ტენდენციებისა, ამავე კვლევების მიხედვით, ინფორმირებულობის თვალსაზრისით საკმაოდ მძიმეა მდგომარეობა საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში - ამ რეგიონების მოსახლეობის 30%-მა არ იცის, მისაღებია თუ არა მათთვის საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, რაც საგრძნობლად აღემატება ეროვნულ მაჩვენებელს (7%). გარდა ამისა, უმცირესობათა 29% მხარს უჭერს ნატოში საქართველოს შესვლას (ეროვნული მაჩვენებელი - 66%), 29% კი ეწინააღმდეგება (ე.მ. – 23%). ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევაშიც შეკითხვაზე პასუხი არ აქვს უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსახლეობის 41%-ს (ე.მ. – 11%).

საბოლოოდ, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ამავე რეგიონების მოსახლეობის 49% მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციის მიერ ჩამოყალიბებული ევრაზიული კავშირის წევრობას, რაც, ერთი მხრივ, რუსული პროპაგანდის, ხოლო მეორე მხრივ, ქართული მხარის მიერ ამ რეგიონების მოსახლეთა არასაკმარისი ინფორმირების შედეგად უნდა მივიჩნიოთ (NDI, 2017).

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის განწყობების კვალდაკვალ რუსეთის რბილი ძალის გავლენა ფაქტობრივად არ შეინიშნება საქართველოს ოფიციალურ საგარეო კურსზე. ქვეყნის მთავრობის დეკლარირებული მიზნები ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შესახებ მყარად აისახება ხელისუფლების მიერ გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებში. გარდა ამისა, საქართველოში ფაქტობრივად წარმოუდგენელია ღიად პრორუსული პარტიის ხელისუფლების სათავეში მოქცევა, რაც განპირობებულია მოსახლეობის უმრავლესობის უაღრესად ნეგატიური დამოკიდებულებით რუსეთის ფედერაციის მხარდამჭერი სუბიექტებისადმი.

მოლდოვა

მოლდოვაში საქართველოსთან შედარებით რუსული რბილი ძალის გავლენა უფრო თვალსაჩინოა როგორც საზოგადოებრივ აზრზე, ასევე საგარეო პოლიტიკურ კურსზე - 2014 წლიდან 2015 წლის მარტამდე მოლდოვაში პროევროპულად განწყობილი მოსახლეობის ხვედრითი წილი შემცირდა 34%-დან 31%-მდე (Lake, Gotoff, & Pultorak, 2015). რუსული რბილი ძალა გავლენას ახდენს მოლდოვის მოსახლეობის პოლიტიკურ თავისუფლებაზეც, რაც გამოიხატება ქვეყანაში პოლიტიკური შეხედულებების ღიად დაფიქსირების შიშით. 2004 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში მოსახლეობის დაახლოებით 50% მიიჩნევდა, რომ პოლიტიკური შეხედულებების ღიად

გამოხატვა საშიშროებას წარმოადგენს ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობისთვის. დღესდღეობით, 2017 წლის მარტის კვლევის მიხედვით, ეს მაჩვენებელი ზუსტად 50%-ია.

ამავე კვლევის მიხედვით, მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი უცხადებს ნდობას ქვეყნის პრორუსი პრეზიდენტის ოფისს (38%). ეს მაჩვენებელი 2016 წლის სექტემბერთან შედარებით 28%-ითაა გაზრდილი. ამასთან, მოსახლეობის 54% ეთანხმება პრეზიდენტ დოდონის გადაწყვეტილებებსა და მხარს უჭერს მის საქმიანობას.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოლდოვას მოსახლეობის 43%-მა 2017 წელს ჩატარებული კვლევების დროს მკაცრად განსაზღვრული ერთი ეკონომიკური კავშირის დასახელებისას უპირატესობა ევრაზიულ კავშირს მიანიჭა განსხვავებით 2014 წლისგან, როცა ევროკავშირში გაერთიანების მხარდამჭერთა რაოდენობა 4%-ით აღემატებოდა ევრაზიულ კავშირში მომხრეთა რიცხვს. 2014 წელთან შედარებით ასევე გაიზარდა მოლდოვას ნატოში გაწევრიანების მოწინააღმდეგეთა რაოდენობაც 31%-დან 45%-მდე (IRI, 2017).

ცალკე აღსანიშნავია დნესტრისპირეთის ფაქტორი რუსეთ-მოლდოვას ურთიერთობებსა და, შესაბამისად, რუსეთის მიერ რბილი ძალის გამოყენებაში. ყარაბაღის, აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ მსგავსად დნესტრისპირეთიც „გაყინული კონფლიქტების“ ზონას მიეკუთვნება, თუმცა საქართველოში ოკუპირებული ტერიტორიებისგან განსხვავებით, დნესტრისპირეთი მხოლოდ თვითაღიარებული რესპუბლიკაა, შესაბამისად, რუსეთის მიერ მისი დამოუკიდებლობის აღიარების ან ანექსიის პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია და ამ კუთხით რუსეთისთვის დნესტრისპირეთში განლაგებული სამხედრო დანაყოფები და საზოგადოდ არსებული ვითარება „ხისტი ძალის“ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს.

ამავე დროს, ცხადია, რუსეთი არ ერიდება რბილი ძალის გამოყენებასაც დნესტრისპირეთის რეგიონში, რაც გამოიხატება „ტრადიციული მეთოდებით“ - კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებით, ჰუმანიტარული დახმარებებით და სხვ. დნესტრისპირეთში რუსეთის ხისტი და რბილი ძალის დიდ გავლენას, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ რეგიონის მოსახლეობის დაახლოებით მესამედს ეთნიკური რუსები შეადგენენ.

4. კვლევის შედეგები და დასკვნა

საბოლოო ჯამში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ორ წევრ სახელმწიფოში, საქართველოსა და მოლდოვაში რუსეთის რბილი ძალის წარმომადგენელთა არსებობა აშკარაა. ამასთანავე, ამ კუთხით არსებული ტენდენციების გააქტიურება შეინიშნება სწორედ 2013-2014 წლებიდან, რაც გამოხატულია როგორც პრორუსული პოლიტიკური პარტიების პოპულარობის ზრდით, ასევე კრემლისტური საზოგადოებრივი თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების საქმიანობის უფრო ინტენსიური ხასიათით.

გარდა ამისა, ნიშანდობლივია რუსული რბილი ძალის განსხვავებული ეფექტები საქართველოსა და მოლდოვაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე. საქართველოში ანტირუსული განწყობები უაღრესად გამძაფრებულია განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მაშინ, როდესაც მოლდოვაში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევები განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. ღიად პრორუსულ პოლიტიკურ პარტიებს საქართველოში ძალზე უჭირთ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერის მოპოვება მაშინ, როდესაც მოლდოვას ჰყავს ღიად პრორუსული ორიენტაციის მქონე პრეზიდენტი და 5 საპარლამენტო პარტიიდან მანდატების

რაოდენობით ორი პოლიტიკური გაერთიანებაც (სოციალისტები და კომუნისტები) უფრო მეტად კრემლისტური რიტორიკითა და პოზიციებით გამოირჩევა.

საქართველოსგან განსხვავებული ვითარებაა ქვეყნის საგარეო კურსთან მოსახლეობის დამოკიდებულებებს შორის. კერძოდ, მაშინ, როდესაც მოლდოვას მოსახლეობის 66% დადებითად აფასებს მოლდოვა-ევროკავშირის ურთიერთობებს, 58% ასევე დადებითად აფასებს რუსეთთან ურთიერთობებსაც, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ორივე საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობას თითქმის თანაბრად უჭერს მხარს. მეტიც, პოლიტიკური პარტნიორობის საკითხში მეტია რუსეთის მომხრეთა რაოდენობა (64%) ევროკავშირთან პარტნიორობის მომხრეებთან შედარებით (60%). დაახლოებით ასეთივე სურათია ქვეყნის ეკონომიკურ პარტნიორებთან დაკავშირებითაც (IRI, 2017).

შესაბამისად, კრემლის რბილი ძალის გავლენა მოლდოვაში ბევრად უფრო თვალსაჩინოა, თუმცა ორივე ქვეყანა (საქართველო და მოლდოვა) განაგრძობს წარმატებულ სვლას ევროპული ინტეგრაციის გზაზე. ზემოხსენებული მთელი რიგი განსხვავების ახსნა შესაძლებელია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით:

- რუსეთს მოლდოვაში გააჩნია ხისტი ძალის მნიშვნელოვანი ბერკეტი დნესტრისპირეთის არაღიარებული რესპუბლიკის სახით, განსხვავებით საქართველოსგან, სადაც რუსეთმა უკვე გაატარა მაქსიმალურად აგრესიული პოლიტიკა ე.წ. „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის რეგიონებთან მიმართებაში;
- ევროკავშირისთვის მოლდოვა გეოგრაფიულად უფრო ახლო სამეზობლოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და, შესაბამისად, მოლდოველთა მხრიდან შედარებით ნაკლები ინიციატივის გამოჩენის შემთხვევაშიც კი საქართველო და მოლდოვა ამ და სხვა ფაქტორების (საზღვრის არქონა რუსეთთა, მოლდოველთა რუმინული/ევროკავშირის პასპორტები და ა.შ.)

გათვალისწინებით კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იქნებიან ევროპული ინტეგრაციის ერთ „კალათაში“.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, კვლევის შედეგებით დგინდება, რომ მოლდოვაში რუსეთის რბილი ძალისა და სხვა (ეკონომიკური, რელიგიური და ა.შ.) ფაქტორების გამო, მოლდოვაში საზოგადოების პრორუსული განწყობები საკმაოდ ძლიერია, რაზეც დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების საქმიანობა. საქართველოში ეს გავლენები ნაკლებად შეინიშნება და მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებული ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებშია. მიუხედავად ამისა, რუსეთის მიერ რბილი ძალის ინსტრუმენტების გამოყენების განუხრელი ზრდა ორივე ქვეყანას, განსაკუთრებით კი მოლდოვას, მეტად საშიში პერსპექტივის წინაშე აყენებს - დღესდღეობით საზოგადოებრივ განწყობებსა და პოლიტიკური სპექტრის ნაწილში გამოხატული მოსაზრებები მომავალში შესაძლოა ქვეყნის ეროვნული ინტერესებისა და დიდი ხნის განმავლობაში განსაზღვრული საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების წყაროდაც იქცეს, თუკი მხარეები კრემლის ინფორმაციულ ომს ეფექტიან ანტიპროპაგანდისტულ მექანიზმებს არ დაუპირისპირებენ. ის, თუ როგორ აისახება ან როგორ უნდა აისახოს რუსეთის რბილ ძალასთან ბრძოლა ქვეყნების ოფიციალურ სტრატეგიულ დოკუმენტებში, ცალკე შესწავლის საგანს წარმოადგენს.

5. გამოყენებული ლიტერატურა

Alliance of Patriots of Georgia. (2018, February 4). *OUR VISION TOWARDS INTEGRATION INTO NATO AND THE EUROPEAN UNION*. Retrieved from Patriots.ge: http://patriots.ge/our-vision-program/

Association for Participatory Democracy "ADEPT". (n.d.). *Parliamentary Elections in Moldova on November 30, 2014.* Retrieved December 3, 2017, from e-democracy.md: http://www.e-democracy.md/en/elections/parliamentary/2014/

Cwiek-Karpowicz, J. (2012, July). Limits to Russian Soft Power in the Post-Soviet Area. Berlin : DGAPanalyse.

Dempsey, J. (2014, December 1). *Why Moldova Matters to the EU and Russia.* Retrieved December 3, 2017, from Carnegie Europe: http://carnegieeurope.eu/strategiceurope/?fa=57346

Devyatkov, A. (2014, March). Giving "Assymetric Response" to the EU: Russian Soft Power Experiment in Transnistria . Tartu , Estonia : Centre for EU-Russia Studies, University of Tartu .

Freedom House. (2017). *Freedom of the Press 2017.* Retrieved December 3, 2017, from Freedom House Web site: https://freedomhouse.org/report/freedom-press/freedom-press-2017

IRI. (2017). *Public Opinion Survey Residents of Moldova .* Center for Insights in Survey Research .

Kosachev, K. (2012, October 7). *The Specifics of Russian Soft Power.* Retrieved December 3 2017, from Russia In Global Affairs: http://eng.globalaffairs.ru/number/The-Specifics-of-Russian-Soft-Power-15683

Lake, C., Gotoff, D., & Pultorak, K. (2015). *Public Perceptions of Politics and Government - Moldova.* Washington, DC: National Democratic Institute. Retrieved December 2, 2017, from https://www.ndi.org/sites/default/files/Analysis%20of%20March%202015%20Survey%20Findings.pdf

Litra, L. (2011, January). The EU's Conditionality in the Case of Moldova (2001-2009): Failure or Success? . Study Programme on European Security (SPES).

Minzarari, D. (2012). Soft Power with an Iron Fist: Putin Administration to Change the Face of Russia's Foreign Policy Toward Its Neighbors. *Eurasia Daily Monitor, 9*(163). Retrieved from https://jamestown.org/program/soft-power-with-an-iron-fist-putin-administration-to-change-the-face-of-russias-foreign-policy-toward-its-neighbors/

NDI. (2017). *საზოგადოების განწყობა საქართველოში.* National Democratic Institute. მოპოვებული 2017 წლის 2 დეკემბერი , https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll_june%202017_ISSUES_GEO-VF.pdf-დან

Nye, J. S. (1990). Soft Power. *Foreign Policy*, 153-171.

Nye, J. S. (2004). *Soft Power - The Means To Success in World Politics.* New York: PublicAffairs.

Nye, J. S. (2009, July/August). Get Smart: Combining Hard and Soft Power. *Foreign Affairs, 88*, 160-163.

Nye, J. S. (2013, April 29). *What China and Russia Don't Get About Soft Power*. Retrieved December 2, 2017, from A Foreign Policy Website: http://foreignpolicy.com/2013/04/29/what-china-and-russia-dont-get-about-soft-power/

Rosca, A. (2017, September 13). *Media in Moldova: Between Freedom and Monopoly.* Retrieved December 3, 2017, from Foreign Policy Research Institute: https://www.fpri.org/article/2017/09/media-moldova-freedom-monopoly/

Rossotrudichestvo. (n.d.). *About Rossotrudichestvo*. Retrieved December 3, 2017, from Rs.gov.ru: http://www.rs.gov.ru/en/about

Russkiy Mir Foundation. (n.d.). *ABOUT RUSSKIY MIR FOUNDATION*. Retrieved December 3, 2017, from Russkiymir.ru: https://russkiymir.ru/en/fund/index.php

Sergunin, A., & Karabeshkin, L. (2015). Understanding Russia's Soft Power Strategy. *Politics, 35*, 347-363. doi:10.1111/1467-9256.12109

The Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation. (2013, February 18). *Concept of the Foreign Policy of the Russian Federation.* Retrieved November 16, 2017, from The Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation Web site: http://www.mid.ru/en/foreign_policy/official_documents/-/asset_publisher/CptICkB6BZ29/content/id/122186

Timer.ge. (2015, მაისი 13). *ევრაზიული კავშირის მომხრეების რაოდენობა იმაზე მეტია, ვიდრე არის 31% – ნინო ბურჯანაძე*. Retrieved თებერვალს 4, 2018, from timer.ge: http://www.timer.ge/ევრაზიული-კავშირის-მომხრ/

Tsygankov, A. (2013a). Moscow's Soft Power Strategy. *Current History*, 259-264.

Цыганков, А. (2013b, December 2013). *Всесильно, ибо верно?* Retrieved December 3, 2017, from Globalaffairs.ru: http://www.globalaffairs.ru/number/Vsesilno-ibo-verno-16251

გვარიშვილი, ა. (2017, ივლისი 12). *ქართველთა რუსული მარში.* Retrieved დეკემბერი 3, 2017, from Tabula.ge: http://www.tabula.ge/ge/story/121936-qartvelta-rusuli-marshi

გურგენაშვილი, ი. (2017 წლის 28 ნოემბერი). *მედია საგენტოები რომლებიც შესაძლოა გატყუებდნენ.* მოპოვებული 2017 წლის 3 დეკემბერი , Factcheck.ge: http://factcheck.ge/article/media-saagentoebi-romlebits-shesadzloa-gatqhuebdnen/-დან

დემოკრატიული მოძრაობა. (2016 წლის 14 სექტემბერი). *საპარლამენტო პროგრამა.* მოპოვებული 2018 წლის 4 თებერვალს , democrats.ge: http://www.democrats.ge/ka/programa/saparlamento-programa-დან

დეტექტორ მედია. (2017). *კრემლის გავლენის ინდექსი 2017.* კიევი: დეტექტორ მედია. მოპოვებული http://mdfgeorgia.ge/uploads/library/67/file/GEO-FINAL-WEB.pdf-დან

ევრაზიის ინსტიტუტი. (2014). *5 წელი ევრაზიის ინსტიტუტი - შუალედური შედეგები.* თბილისი: ევრაზიის ინსტიტუტი. Retrieved from http://politforumi.com/panel/uploads/PDF/5-weli-qartuli-saboloo.pdf

ევრაზიის ინსტიტუტი. (თ. გ.). *ქვეყანათმცოდნეობა - აშშ.* მოპოვებული 2017 წლის 3 დეკემბერი , Politforumi.com: http://politforumi.com/geo/qveyanatmcodneoba/USA-დან

ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი. (2016). რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში. თბილისი.

ერეკლე მეორის საზოგადოება. (2013 წლის 12 აგვისტო). *ჩვენს შესახებ.* მოპოვებული 2017 წლის 3 დეკემბერი , Erekle-2.ge: http://erekle-2.ge/ka/aboutus-დან

ერეკლე მეორის საზოგადოება. (თ. გ.). *პუბლიკაციები.* მოპოვებული 2017 წლის 3 დეკემბერი , erekle-2.ge: http://erekle-2.ge/ka/publications-დან

მაჩაიძე, რ. (2016 წლის 18 აგვისტო). *პრორუსული საკონსტიტუციო ჩანაწერის პრევენცია, თუ წინასაარჩევნო პოპულიზმი.* მოპოვებული 2018 წლის 4 თებერვალს , ფაქტ-მეტრი: http://factcheck.ge/article/prorusuli-sakonstitutsio-chanatseris-preventsia-thu-tsinasaarchevno-populizm/-დან

რონდელი, ა. (2014). მოსკოვის ინფორმაციული პოლიტიკა და საქართველო . თბილისი : საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი .

საქართველო და მსოფლიო. (2017ა წლის 23 ნოემბერი). *ამერიკელი ჟურნალისტის სკანდალური ინტერვიუ "ლუგარის" ლაბორატორიასთან დაკავშირებით.* მოპოვებული 2017 წლის 3 დეკემბერი , Geworld.ge: http://geworld.ge/ge/%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%99/-დან

საქართველო და მსოფლიო. (2017ბ წლის 1 დეკემბერი). *"12 მოციქული" 30 ვერცხლის რიგში.* მოპოვებული 2017 წლის 3 დეკემბერი , Geworld.ge: http://geworld.ge/ge/12-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-30-%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92/-დან

სულაძე, ა. (2015). რბილი ძალის „რუსიფიკაცია": რუსეთის გავლენა პრო-ევროპულ საქართველოსა და მოლდოვაზე. თბილისი.

ტაბულა . (2016ბ, აპრილს 7). *თოფაძე: იმის ნაცვლად, რუსებს მოველაპარაკოთ, ხიდაშელი გაჰკივის - NATO-ო.* Retrieved თებერვალს 4 , 2018, from ტაბულა: http://tbl.ge/26

ტაბულა. (2016ა წლის 8 აპრილი). *ტყემალაძე NATO-ზე: ადამიანმა შეიძლება, საკუთარ სიცოცხლეზეც თქვას უარი.* მოპოვებული 2018 წლის 4 თებერვალს , ტაბულა: http://tbl.ge/az9-დან

ტაბულა. (2017ა, ივლისი 13). *მარშანია: რუსეთს საქართველო-NATO-რუსეთის ფორმატის შექმნა შევთავაზეთ.* Retrieved თებერვალს 4, 2018, from Tabula.ge: http://tbl.ge/2ep4

ტაბულა. (2017ბ წლის 2 თებერვალი). *კვიციანი: კარგი იქნება, თუ რუსეთი ევროპის ჯინაზე გააუქმებს ვიზებს.* მოპოვებული 2018 წლის 4 თებერვალს , Tabula.ge: http://tbl.ge/25yo-დან

ცესკო. (2013 წლის ოქტომბერი). *საქართველოს პრეზიდენის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნები.* მოპოვებული 2017 წლის 3 დეკემბერი , cec.gov.ge: http://results2013p.cec.gov.ge/-დან

ცესკო. (2014 წლის ივნისი). *არჩევნები 2014.* მოპოვებული 2017 წლის 3 დეკემბერი , cec.gov.ge: http://results2014.cec.gov.ge/-დან

ცესკო. (2016 წლის ოქტომბერი). *საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები.* მოპოვებული 2017 წლის 3 დეკემბერი , cec.gov.ge: http://results20161008.cec.gov.ge/-დან

ცესკო. (2017 წლის ოქტომბერი). *ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნები.* მოპოვებული 2017 წლის 3 დეკემბერი , cec.gov.ge: https://results20171021.cec.gov.ge/-დან

ძველიშვილი, ნ., & კუპრეიშვილი, თ. (2015). *რუსული გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე.* თბილისი : დამოუკიდებლობა.com (IDFI).